ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:ბ48. 48240253
თარიღი:25/01/2024

მესამე რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ

„საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა'' პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ა'' პუნქტის ,,ა.თ.'' ქვეპუნქტის, ,,საჯარო სამსახურის შესახებ'' საქართველოს კანონის 27-ე და 28-ე მუხლების, ,,საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილების, ,,პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობების თითოეული იერარქიული რანგისათვის აუცილებელი სპეციალური მოთხოვნების განსაზღვრის შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 აპრილის №218 დადგენილებისა და პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილების შესაბამისად

ვბრძანებ:

1.დამტკიცდეს მესამე რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები (თან ერთვის).

2.ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

3.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ქალაქ... CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY №2 221274546

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი